ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეფერენდუმის წინ

**საქართველოს** რკინიგზის სამმართველოს საგზაო ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „ლოკომოტივის“ საწარმოების ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა დაგმეს და ბოიკოტი გამოუცხადეს 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმს ჩვენს სისტემაში მომუშავე ყველა ეროვნების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს ხმა მისცენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და ერთსულოვნად მიიღებენ მონაწილეობას 31 მარტის რეფერენდუმში.

**ნიკოლოზ ქაჯაია,**
**სპორტკლუბის თავმჯდომარე.**

**თბილისის** ფიზიკური კულტურის ტექნიკუმის კოლექტივის უკლებლივ ყველა წევრი მონაწილეობას მიიღებს 31 მარტის რეფერენდუმში. 17 მარტს კოლექტივმა უკვე გამოხატა თავისი ნება — უარი თქვა საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობაზე.

**ფიზკულტურის ტექნიკუმის თანამშრომლები**

ლელო
დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი
22 მარტი, პარასკევი, 1991 წ.
№ 52 (10 465) ● ფასი 10 კაპ.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# სასწაული

„ჯენტრი იგლ“ — ასე ჰქვია სწრაფმავალ სპორტულ კატარღას, რომელმაც 2 დღეში 14 საათსა და 7 წუთში დაფარა მანძილი ნიუ-იორკიდან ინგლისის სანაპირომდე და... 18 საათზე მეტი დროით გააუმჯობესა ამ მარშრუტით ატლანტიის ოკეანის გადაცურვის რეკორდი. ხუთკაციანი ეკიპაჟით რბოლას ამერიკელი ტომ ჯენტრი ხელმძღვანელობდა.

„ჯენტრი იგლის“ სიგრძეა 33,5 მ, აღჭურვილია დიზელის ორი (რომელთა სიმძლავრეა 3500 ცხენის ძალა). და 4000 ცხენისძალიანი საავიაციო ტურბოძრავებით.

მართლაც სასწაულია!

ჟურნალი „ამერიკა“

# ბარსელონა-საორგანიზაციო კომიტეტი — თბილისი, „ლელო“

**ბარსელონა** — 1992 წლის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი! კარგა ხანია მსოფლიო სპორტული სამყაროს ყურადღება ესპანეთისაკენაა მიპყრობილი და, რაც დრო გადის, უფრო მძაფრდება წინასაოლიმპიადო ვნებათაღელვა. რა ხდება ბარსელონაში, როგორ ემზადება იგი სამყაროს უდიდესი სპორტული ფორუმის შესახვედრად? სამწუხაროდ, ჯერჯერობით, ვიმეორებთ, მხოლოდ ჯერჯერობით, რედაქციას არ გააჩნია შესაძლებლობა უცხოეთში მიავლინოს თავისი კორესპონდენტი, სამაგიეროდ, ვსარგებლობთ რა თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წევრებთან პირადი კეთილი ურთიერთობით, საშუალება გვეძლევა უშუალოდ პირველწყაროდან მივიღოთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ამ დღეებში ესპანეთიდან გამოგვიგზავნეს საცნობარო ალბომი და ზოგიერთი საინტერესო ფოტომასალა, ურთიერთობა გაგრძელდება. დღეს რამდენიმე ინფორმაციას შემოგთავაზებთ, რომელიც ვფიქრობთ, დააინტერესებს „ლელოს“ მკითხველებს.

# ჯილდო ერთგულებისთვის

... 1986 წლის 17 ოქტომბერი. 13 საათი და 31 წუთი. ლოზანა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 91-ე სესია, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს 1992 წლის ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადების მასპინძელი ქალაქების ბედი, სულ მალე დაამთავრებს მუშაობას. მანამდე კი...

... არჩევნებში მონაწილე ქვეყნებმა პირველად ჩაიყვანეს სოკ-ის სესიაზე საზოგადო მოღვაწეები, მთავრობის ხელმძღვანელები, ჩემპიონები, პოპულარული მსახიობები. ისინი ამ შემთხვევაში დამხმარე ძალას, ასე ვთქვათ, ფონს წარმოადგენენ, თორემ სოკ-ის წევრებზე ზეგავლენა ასეთი „იაფფასია-




იხ. მე-2 გვ.

# SOS

ეკონომია ხალხის ჯანმრთელობის ხარჯზე

## ეს უკვე მეტისმეტია!

მიგვაჩნია, რომ ავიამუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი დღემდე ნაკლებ ყურადღებას უთმობდა მშრომელთა და მათი ოჯახების წევრთა გაჯანსაღების საქმეს, რაზედაც ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ-მასობრივ ღონისძიებებში, მის სექციებსა და ჯგუფებში ჩაბმულია ავიამუშაკთა მთელი კონტიგენტის მხოლოდ 10 პროცენტი, რის შედეგადაც ყოველწლიურად მატულობს ავადმყოფობით გაცდენილ სამუშაო დღეთა რაოდენობა.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად 1990 წლის ოქტომბრიდან დაფუძნდა და შეიქმნა საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „ავიატორი“, რომლის გამგეობა დიდ მუშაობას ეწევა სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებისა და ინსტრუქტორ-მეთოდისტთა შტატით შრომითი კოლექტივების დასაკომპლექტებლად. ორგანიზაციებში უკვე დაინიშნა დამატებით ხუთი ინსტრუქტორ-მეთოდისტი, მაგრამ პირველი და უმთავრესი საკითხი — სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა, რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა ჩიხში აღმოჩნდა.

ჩვენი ღრმა რწმენით, მიზნობრივი სახსრების ეკონომია დანაშაულის ტოლფასია. ახეთი რამ კი ჩვენს პროფკავშირებში ჩვეულებრივი ამბავია და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ „ავიატორი“ ფინანსურ კრიზისს განიცდის, ხოლო ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება მინიმუმამდე შემცირდა, არაა მასობრიობა, სპორტული ბაზები კი საცალალო მდგომარეობაშია. მათი კეთილმოწყობისთვის სახსრების გაღებაზე არავინ ზრუნავს, ეკონომიას აძლევენ პრივილეგიას.

შარშან ბავშვთა გამაჯანსაღებელი ბანაკის მოწყობის სახსრებიდან დარჩენილი 30 ათასი მანეთი პრეზიდიუმის დადგენილებით უნდა გადაცემოდა „ავიატორს“, მაგრამ რატომღაც ამჯობინეს ეკონომია, რითაც ხელ-ფეხი შეუკრეს სპორტკლუბს. ჩვეულებრივ ამბად იქცა დადგენილებების შეუსრულებლობა, ისინი მხოლოდ ქაღალდზე რჩება.

ვფიქრობთ, დროა გარდავიქმნათ და მხარი ავუბათ ახალ ვითარებას — ყველაფერი მიმართული უნდა იყოს მშრომელთა საკეთილდღეოდ, შევუქმნათ მათ პირობები ფიზიკური გაჯანსაღებისათვის, რაც თავისთავად აამაღლებს შრომისნაყოფიერებას. მხარდაჭერასა და დახმარებას ველით საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციისაგან, საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტისაგან, მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციისაგან და, რასაკვირველია, გაზეთ „ლელოს“ რედაქციისაგან.

**ნიკოლოზ სომხიშვილი,**
**სპორტკლუბ „ავიატორის“ გამგეობის თავმჯდომარე.**

**რედაქციისაგან:** ჩვენ ჯერჯერობით თავს ვიკავებთ ამ მართლაც საგანგაშო სიგნალის კომენტარისგან. იმედია, ავიამუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტი დროულად გამოგვეხმაურება.

# ახალი ბუმ-ბუმ ბორისი

რამდენიმე სიტყვა განმარტებისთვის: ბორის ბეკერს, პირველად რომ გამოჩნდა დიდი ჩოგბურთის სარბიელზე, ჟურნალისტებმა „ბუმ-ბუმ ბორისი“ შეარქვეს. ამით მათ ხაზი გაუსვეს ჩოგბურთელის დარტყმების სიძლიერეს.



ესეც ბორისია. ან უფრო სწორად „ბუმ-ბუმ ბორისი“, რომელიც თითის ქნევით აფრთხილებს მეტოქეს: „კიდევ ერთი ძლიერი მოწოდება მარცხნიდან და დაგაყენებთ გზაზე, რომელიც მარჯვნივ მიდის“. მაგრამ მისი პარტნიორი — იაპონიის მშენებლობის მინისტრი ჰარადა სულაც არ იყო მოსკოვში ჩასული ელცინთან საჩხუბრად ან საკამათოდ...

ახალი „ბუმ-ბუმ ბორისი“ თავის 59 წლის ასაკშიც ინარჩუნებს კარგ სპორტულ ფორმას და თამაშის მაღალ ხარისხს. ამბობენ, მას განსაკუთრებით მარჯვნივ პირდაპირი დარტყმები ეხერხებათ. ეს კარგია. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ბორისს ნებისმიერი მოძრაობის წინასწარ განჭვრეტის უნარიც გააჩნია. მისი „დასავლეთიზმი“, რომ იტყვიან, ტერფიდან იწყება, ვინაიდან თამაშის დროს იტალიური ფირმის „ტაიგერის“ სპორტულ ფეხსაცმელებს იცვამს.

**„შტერნ-მაგაზინი“,**
**საფრანგეთი**

# ველოსპორტის იდეალი — ლორანგრეგი

**იტალიელი** ფოტოჟურნალისტი ბრუნო ბადი თავისი საქმის უბადლო სპეციალისტია და... ველოსპორტის დიდი მოყვარულიც. შარშანდელი „ტურ დე ფრანსის“ წინ ბადიმ თავისი ორი საყვარელი ველოსიპედისტის, ფრანგი ლორან ფინიონის და ამერიკელი გრეგ ლემონდის პორტრეტები დაამონტაჟა და შექმნა იდეალური ველოსიპედისტის „ლორან გრეგის“ სახე, რომელსაც აქვე გთავაზობთ (მარცხენა ნახევარი ფინიონისაა, მარჯვენა — ლემონდის).

ამ ორიგინალურ ნაწარმოებს ფოტოჟურნალისტმა ასეთი წარწერა გაუკეთა: „უბედურება იქნება, ჩემს „ფალავნებს“ ამ რბოლაში ხელი მოეცაროთ და ჩამპიონი გახდეს ვინმე მესამე, რომელიც აქ არ მყავს აღბეჭდილი“. ბადის ამჯერად ბედმა გაუღიმა — „ტურ დე ფრანსი“ გრეგ ლემონდმა მოიგო.



## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

**გუშინ** გაიმართა ფეხბურთში ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის კიდევ ორი მატჩი.

**თბილისის** „იბერიამ“ უმასპინძლა ლანჩხუთის „გურიას“ — 0:0.

**გალში** ერთმანეთს შეხვდნენ ოჩამჩირის „ამირანი“ და ფოთის „კოლხეთი-1913“. ოჩამჩირელები დამარცხდნენ — 1:2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საკრებულოებში — მხოლოდ ღირსეულნი!

# ფიზიკური სიჯანსაღე სულიერი სიმხნევეც არის

**31 მარტს რეფერენდუმთან ერთად საქართველოში ჩატარდება ხელისუფლების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების — საკრებულოების არჩევნები. საკრებულოებში მოვლენ ადამიანები, რომლებიც ახლებურად აზროვნებენ და ყველაფერს ილონებენ განუხრელად იხელმძღვანელონ ერთი მთავარი პრინციპით — საქართველო, უპირველეს ყოვლისა!**

**საბურთალოს რაიონის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატია სევერიან თოდუა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის თანამშრომელი, ბლოკი — „მრგვალი მაგიდა" — თავისუფალი საქართველო, ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი. ს. თოდუა კენჭს იყრის იქ, სადაც ცხოვრობს — დიდი დიღმის № 24 საარჩევნო ოლქში.**



**● ბატონო სევერიან, დიდი დიღომი დედაქალაქის ყველაზე ახალი დასახლებაა, ე. ი. აქ გათვალისწინებული უნდა იყოს ადრე გაშენებულ საცხოვრებელ მასივებში დაშვებული შეცდომები. ჩვენ გვინდა შევეხოთ მხოლოდ სპორტული ბაზების საკითხს, რადგან ამ საკითხის მოუგვარებლად საცხოვრებელ ადგილებში შეუძლებელია მოსახლეობას შორის ფიზიკური და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლა.**

— სამწუხაროდ, არც დიდ დიღომში გეცემათ თვალში კეთილმოწყობილი სპორტული მოედნები, კორტები, საცურაო აუზები, თუნდაც ბავშვთა საჭყუმპალაოები. ის კი არა, 186-ე საშუალო სკოლასთან ახლოს დიდი სპორტული კომპლექსის ადგილი დატოვეს მშენებლებმა, აქ ფეხბურთის თამაშიც შეიძლებოდა. შემდეგ ვილაცამ მოისურვა იმ ადგილზე კეტბურთის სასწავლო-საშეჯიბრებო მოედნის მოწყობა, მიაყენეს ბულდოზერები, გადათხარეს იქაურობა და ...მიატოვეს. ახლა აღარც ფეხბურთის, კალათბურთის, ფრენბურთის სათამაშო მოედანია იქ, არც კეტბურთისა. საქმეა ეს?

**● ადრე ბევრი იწერებოდა, რომ საცხოვრებელი კორპუსების პირველ სართულებზე ყველას უთმობენ არასაცხოვრებელ ფართობს, გარდა გამაჯანსაღებელი კლუბებისა. არადა, ამ კლუბებში ბავშვები და მათი მშობლები ივარჯიშებდნენ, ორგანიზმს გაიკაჟებდნენ. დიდ დიღომში როგორაა საქმე?**

— ამ ახალგაშენებულ და ჯერ კიდევ მშენებარე მიკრორაიონში დღესაც დიდი სიამოვნებით მხოლოდ მაღაზიებს, სალონებს, კოოპერატივებს, სახელოსნოებს, დაწესებულებებს უთმობენ არასაცხოვრებელ ფართობს. ისე ნუ გაიგებთ, თითქოს ყველაფერი ეს საჭიროდ არ მიგვაჩნია, მაგრამ ერთ ქუჩაზე, ერთ მიკრორაიონში, ხილბოსტნეულის სამ მაღაზიას რომ გახსნიან, თუნდაც მთელ დასახლებაში ერთი ნაგებობის ფართობი ხომ მაინც უნდა დაეთმოს გამაჯანსაღებელ კლუბს?

**● თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმმა ადრე ხომ გამოუყო დიდ დიღომში გამაჯანსაღებელ კლუბს ფართობი — პეტრიწის ქუჩის მე-15 სახლში...**



— ის დადგენილება, სამწუხაროდ, ქაღალდზე დარჩა. ფართობი დაიკავა ორგანიზაციამ, რომელსაც ხსენებული დადგენილების გასაბათილებლად არავითარი საბუთი არ გააჩნია. ამ საკითხს უთუოდ დავსვამთ საკრებულოში.

**● ხომ არ გიფიქრიათ, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს საცხოვრებელ ადგილებში ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ახლებურად წარმართვისთვის?**

— მთავარია, სასურველი რეალობად არ გავასაღოთ, როგორც ეს ადრე ხდებოდა. ადრე, თქვენ რა გესწავლებათ, უამრავი ფიზკულტურელი „გვყავდა" და გამაჯანსაღებელ მუშაობაშიც ვითომ ასეულათასობით ადამიანი იყო ჩაბმული საცხოვრებელ ადგილებშიც კი. ახლა რეალურად უნდა შევუქმნათ მოსახლეობას სავარჯიშოდ აუცილებელი პირობები. ვფიქრობ, ერთადერთი და სწორი გზაა გამაჯანსაღებელი კლუბების გახსნა საცხოვრებელ მიკრორაიონებში. სხვადასხვა უწყებებში, როგორც იტყვიან, კაპიკ-კაპიკ გაფანტულმა სახსრებმა თავი უნდა მოიყაროს ამ კლუბში. ხალხის გაჯანსაღებისთვის გამოყოფილი ფული მხოლოდ ასე თუ მოვა თითოეულამდე, მიზნობრივად მხოლოდ ასე თუ დაიხარჯება. ჩვენ ამაზე უკვე ვფიქრეთ. ამას წინათ დიდ დიღომში შევქმენით გამაჯანსაღებელი კლუბი, რომლის თავმჯდომარის მოადგილე თავად გახლავართ.

**● რა საკითხის მოგვარებით შეუდგებით მუშაობას?**

— ბინის საკითხზე ზემოთ მოგახსენეთ. პრაქტიკულ საქმეს კი იმით დავიწყებთ, რომ შევქმნით გამაჯანსაღებელ ჯგუფებს დასახლებაში მცხოვრები მოზარდებისთვის. პირველ ყოვლისა, ამ ჯგუფებში გავაერთიანებთ სუსტი ჯანმრთელობის ბავშვებს, რომლებსაც სასწრაფოდ ესაჭიროებათ ფიზიკური ვარჯიშებით მკურნალობა, რათა დაავადებამ არ იჩინოს თავი. განსაკუთრებით გვაშფოთებს უყურადღებობა ხერხემალგამრუდებული ბავშვებისადმი. ასეთები, სამწუხაროდ, ცოტანი როდი არიან.

კლუბის გამგეობა შეუთანხმდა ჩვენს დასახლებაში 187-ე სკოლის დირექტორს ბატონ გია ზენაიშვილს იმის თაობაზე, რომ პირველ ყოვლისა ამ სკოლაში შევუდგებით მუშაობას. სკოლას საცურაო აუზიც აქვს, სპორტული დარბაზიც და ღია მოედნებიც. აქაური გამოცდილება მთელს რესპუბლიკაში განზოგადდება. მუშაობაში ექსტრასენსებსაც მოვიზიდავთ. ასოციაცია „ბიოველის" პრეზიდენტთან, ცნობილ ექსტრასენსთან იური გალდავასთან ამის თაობაზე შეთანხმებული ვართ.

**● როგორ გესახებათ საკრებულოებისა და მოსახლეობის ურთიერთობა?**

— საკრებულო ყველა საკითხს გადაწყვეტს მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით და მასთან უშუალო მოთათბირების გზით. უკვე დადგა დრო ადგილობრივმა ხელისუფლებამ იმუშაოს მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობით, მათი მოთხოვნების გათავისებით. მთავარია, სიცოცხლისუნარიანობა მივანიჭოთ ეროვნული მთავრობის ყველა გადაწყვეტილებას.

**● წარმატებებს გისურვებთ...**

— გამლევთ პირობას, რომ საკრებულო და მისი თითოეული წევრი ყველაფერს გააკეთებენ ხალხის კეთილდღეობისათვის, აქ კი, რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ადგილი ფიზიკურ კულტურას და სპორტს ეკუთვნის. ფიზიკური სიჯანსაღე ხომ სულიერი სიმხნევეც არის.

ესაუბრა **თორნიკე ბაქრაძე.**

• • •

**სურათზე: სევერიან თოდუა. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

# ჯილდო ერთგულებისთვის

**(დასასრული)**

ნი" საშუალებებით ძნელი საქმეა.

... კენჭისყრა, როგორც წესი, ფარულია და ტარდება ტურებად (რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ ვერავინ დააგროვებს ხმების უმრავლესობას — 43-ს, ასეთ დროს ბოლო ადგილზე გასული ქალაქი ავტომატურად ეთიშება პროცედურას. ჟურნალისტებს კენჭისყრაზე ჩვეულებისამებრ, არ ასწრებენ. მათ მთავარ დარბაზში ამ პიკანტური პროცედურის დასთავრების შემდეგ იწვევენ.

...პირველად დაასახელეს ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქი — შედეგები არ გამოცხადდა. დაელოდნენ ზაფხულის ოლიმპიადის კენჭისყრას და, აი, დგება ისტორიული მომენტი — 17 ოქტომბრის 13 საათი და 31 წუთი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი აცხადებს: ალბერვილი (საფრანგეთი) და ბარსელონა (ესპანეთი)...

ერთი პატარა დეტალი: ბარსელონა ოლიმპიადის მოწყობის უფლებას სამი უშედეგო ცდის (1924, 1936, 1972) შემდეგ იღებს.

...იმ დღეს ბარსელონა ენთუზიაზმის ტალღამ წალეკა. მთელი ქალაქი, კატალონია, ესპანეთი გამოვიდა ქუჩებში და გვიან ღამემდე ზეიმობდა გამარჯვებას. ზეიმმა აპოთეოზს მიაღწია შუაღამეს, როცა ლოზანიდან ჩამოფრენილი დელეგაცია ბარსელონის მთავარ მოედანზე მობრძანდა და ასობით ათას შეკრებილს მადლობა გადაუხადა თანადგომისთვის, მხარდაჭერისთვის. ქალაქის მერმა იმ შუაღამეს თავისი მოკლე მისალოცი სიტყვა ასე დაამთავრა: „ხალხმა ყველაფერი შესწირა იდეას და დაიმსახურა „ჯდეც ჯილდო — ბარსელონა ოლიმპიადის დედაქალაქია!"

ფოტოსურათებზე აღბეჭდილია ოფიციალური ზეიმისა და სიხარულის პირველი წუთები.











# ეს-ესაა შევიტყვეთ...

## „ჩიკაგო" — აბსოლუტურად საუკეთესო შედეგით

ნბა-ს ლიგის კალათბურთელთა ჩემპიონატის მორიგი მატჩების შედეგები:

„ბოსტონი" — „ვაშინგტონი" 102:81

„ნიუ-ჯერსი" — „კლივლენდი" 102:97

„ფილადელფია" — „დეტროიტი" 107:103

„ინდიანა" — „მაიამი" 117:107.

გუნდებს დღეისთვის ჩატარებული აქვთ 64–67 მატჩი, რაც იმას ნიშნავს, რომ ტურნირის პირველი ეტაპი ფინიშს უახლოვდება. მკითხველებმა იციან, რომ „პლეი-ოფ"-ის სერიის მატჩებში მონაწილეობის უფლება უკვე მოიპოვა ხუთმა გუნდმა („ბოსტონი", „ჩიკაგო", „პორტლენდი", „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" და „ფენიქსი"). ამ კვირაში გაიცა კიდევ ერთი საგზური — იგი მიიღო ნბა-ს შარშანდელმა ჩემპიონმა „დეტროიტმა".

ოთხივე დივიზიონის მიხედვით საუკეთესო პროცენტული მაჩვენებელი აქვს ცენტრალური დივიზიონის ლიდერს — „ჩიკაგოს" — 766. ჩიკაგოელმა კალათბურთელებმა ყველაზე ნაკლები შეხვედრა წააგეს — 15. ყველაზე მეტი მატჩი კი „ბოსტონმა" (50) მოიგო, მაგრამ მას დამარცხება უფრო მეტი აქვს (18).

ტურის ცენტრალური მატჩი იყო ატლანტის დივიზიონის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის „ფილადელფიის" შეხვედრა ნბა-ს ახლანდელ ჩემპიონთან — „დეტროიტთან". ეს ორთაბრძოლა ფილადელფიელებმა მოიგეს და მნიშვნელოვანი ნაბიჯიც გადადგეს „პლეი ოფ"-ის საგზურის მისაღებად.

**აღმოსავლეთის კონფერენცია**
**ატლანტის დივიზიონი**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| „ბოსტონი" | 50 | 18 | 785 |
| „ფილადელფია" | 37 | 29 | 561 |
| „ნიუ-იორკი" | 34 | 33 | 507 |
| „ვაშინგტონი" | 23 | 42 | 354 |
| „ნიუ-ჯერსი" | 22 | 44 | 333 |
| „მაიამი" | 20 | 47 | 299 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჩიკაგო" | 49 | 15 | 766 |
| „დეტროიტი" | 41 | 26 | 612 |
| „მილუოკი" | 40 | 27 | 597 |
| „ატლანტა" | 37 | 29 | 561 |
| „ინდიანა" | 33 | 34 | 493 |
| „კლივლენდი" | 23 | 42 | 354 |
| „შარლოტა" | 19 | 46 | 292 |

**დასავლეთის კონფერენცია**
**შუა-დასავლეთის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „იუტა" | 42 | 22 | 656 |
| „სან ანტონიო" | 42 | 22 | 656 |
| „ჰიუსტონი" | 41 | 24 | 631 |
| „დალასი" | 24 | 40 | 375 |
| „ორლანდო" | 21 | 43 | 328 |
| „მინესოტა" | 21 | 44 | 323 |
| „დენვერი" | 18 | 47 | 277 |

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლ.-ა. ლეიკერსი" | 48 | 18 | 727 |
| „პორტლენდი" | 47 | 18 | 723 |
| „ფენიქსი" | 44 | 20 | 688 |
| „გოლდენ სტეიტი" | 35 | 30 | 538 |
| „სიეტლი" | 30 | 34 | 469 |
| „ლ.-ა. კლიპერსი" | 23 | 43 | 348 |
| „საკრამენტო" | 18 | 46 | 281 |

როგორც ხედავთ, წყნარი ოკეანის დივიზიონში მოხდა ლიდერთა ცვლა. „პორტლენდმა", რომელიც ჩემპიონატის დასაწყისიდან ლიდერობდა სატურნირო ცხრილს და რომელსაც დიდხანს აბსოლუტურად საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდა, ადგილი დაუთმო „ლოს-ანჯელეს ლეიკერსს". თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამას არც ერთი კლუბისთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან „ლეიკერსსაც" და „პორტლენდსაც" (მათთან ერთად „ფენიქსსაც") „პლეი -ოფ"-ის სერიებში თამაში გარანტირებული აქვთ.

# გუშინ...

**გ. ეგნატაშვილის სახელობის კალათბურთის დარბაზში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი კალათბურთელ ქალთა გუნდებს შორის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა დაამარცხა როსტოვის „კრასნი აკსაი" ანგარიშით 83:80 (44:43).**

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

**„სამგურალი" (წყალტუბო) — „ოდიში" (ზუგდიდი) 1:0 (0:0)**

**წყალტუბო. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 20 მარტი.**

**„სამგურალი": მიქაძე, მუშკუდიანი, გოგელიძე, ჭელიძე, ვ. ფეხტვენიძე, რ. იობიძე, ჩიხლაძე (გ. ჯანელიძე), ხიჭინავა (იონანიძე), ქყონია, ბაბუნიძე, ჭ. იობიძე.**

**„ოდიში": ჭანტურია, კვიტატიანი, ნაჭყებია, თუთბერიძე, ჯავაშვილი, შონია (ტიბუა), მალანია, შეროზია, ჯიქია, ყიზილაშვილი, თევზაძე (ხართანია).**

**მსაჯები: ა. მილჩენკო, ო. გაგუა, დ. ხანაია (სამივე — სოხუმი).**

**გააფრთხილეს: ნ. ჭელიძე, გ. კვიტატიანი.**

მეორე ეროვნული ჩემპიონატის გახსნის წინ ქალაქ-კურორტში საზეიმო განწყობილება სუფევდა. ამას ხელი შეუწყო ამინდმაც. ხანგრძლივი წვიმების შემდეგ ამ დღეს გამოიდარა, საფეხბურთო გაზონიც შესანიშნავ მდგომარეობაში იყო. მაყურებელი მრავლად მოვიდა, როგორც ადგილობრივი, ასევე ზუგდიდიდან „ოდიშის" საქომაგოდ ჩამოსული.

შეხვედრა დაძაბულად დაიწყო და ასევე გაგრძელდა. მასპინძლებს მთელი შეხვედრის განმავლობაში არ შეუწყვეტიათ იერიშები, სათამაშო უპირატესობას კი განსაკუთრებით მატჩის პირველ ნახევარში ფლობდნენ. ისინი ახლოს იყვნენ კიდეც მიზანთან 30-ე და 33-ე წუთებზე, როცა ჭ. იობიძის მიერ დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. „ოდიშმა" მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლო რამდენიმე კონტრშეტევის განხორციელება, მაგრამ უშეცდომოდ თამაშობდნენ მეკარე მიქაძე და მცველები. წყალტუბოელთა გამუდმებული შეტევების მიუხედავად, გოლი მხოლოდ 84-ე წუთზე გავიდა: მარცხენა ფრთიდან ჭ. იობიძის მიერ საჯარიმოში ჩამოწოდებულ ბურთს ზუსტად შეურჩია ადგილი მოედანზე ახალგამოსულმა ჯანელიძემ და გამარჯვების გოლი გაიტანა „ოდიშის" კარში.

**ომარ ჭუმბურიძე,**
**„ლელოს" კორ.**

**„ივერია" (ხაშური) — „ცხუმი" (სოხუმი) 0:2 (0:2).**

**ხაშური. „ივერიის" სტადიონი. 20 მარტი.**

**„ივერია": ბრიაუნისი, კისელიოვი, ცხოვრებაშვილი, მაღრაძე, ჭანგურიძე, ხარატიშვილი, ქიმერიძე, რ. ნოზაძე, თევზაძე (ავალიანი), ჭინჭარაული, რობაქიძე.**

**„ცხუმი": ჟორჟოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, კურგენიანი, მალანია, გოგიაშვილი, ჯიშკარიანი (სიქინავა), პაპავა, გოგრიჭიანი, ცაავა, გაბისკირია.**

**მსაჯები: ლ. ჩიტაია, ვ. ხეჩოიანი, ო. გუნთაძე (სამივე — თბილისი).**

**გააფრთხილეს: ო. მაღრაძე, რ. ნოზაძე, მ. ჯიშკარიანი.**

სამ თვეზე მეტ ხანს ელოდა ხაშურელი გულშემატკივარი ამ დღეს და აი, ხაშურში საზეიმოდ გაიხსნა მეორე ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ციოდა, ფეხბურთის ხაშურელი მოყვარულები თამაშზე მაინც მრავლად მოვიდნენ, რათა ექომაგათ თავიანთი გუნდისათვის. თუმცა მაყურებელთა მხარდაჭერამაც ვერ უშველა „ივერიას" — მეტოქე ამ დღეს მათზე ორი თავით მაღლა იდგა, რაც ანგარიშშიც აისახა.

ატალახებულ მინდორს ალღო პირველად სტუმრებმა აუღეს და უკვე შეხვედრის დასაწყისშივე რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს. მეოთხე წუთზე ბრიაუნისმა ორჯერ ითამაშა ჩინებულად, როდესაც ჯიშკარიანი მასთან პირისპირ აღმოჩნდა (ჯერ ახლო მანძილიდან, შემდეგ განმეორებით დარტყმული ბურთი მოიგერია). თუმცა უკვე მეთორმეტე წუთზე ივერიელთა მეკარემ ვერ მოახერხა გოგრიჭიანის ძლიერად დარტყმული ბურთის მოგერიება — 1:0. სოხუმელებს არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ იერიშები. შეტევაში კარგად ერთვებოდნენ მცველებიც, რასაც ლოგიკური შედეგი მოჰყვა: გოგიაშვილმა მიუსწრო ბრიაუნისის მიერ უხერხულად მოგერიებულ ბურთს და ანგარიში ორამდე გაზარდა.

მეორე ნახევარი ხაშურელებმა იერიშებით დაიწყეს, მაგრამ მათი თითქმის ყველა შეტევა საჯარიმო მოედნის მისადგომებთან მთავრდებოდა. ჟორჟოლიანი, ფაქტობრივად, თამაშში არც „ჩარეულა". სოხუმელებს კი დარჩენილ დროში რამდენჯერმე შეეძლოთ ბურთის გატანა, მაგრამ მათი გადამწყვეტი დარტყმები არაზუსტი იყო.

შეხვედრა, სამწუხაროდ, არცთუ კორექტულად წარიმართა, რის გამოც მსაჯებს სამჯერ მოუხდათ ყვითელი ბარათის ჩვენება.

**გოგი გოგოლაძე,**
**„ლელოს" კორ.**

**„შევარდენი-1906" (თბილისი) — „ბათუმი" (ბათუმი) 4:1 (1:1).**

**თბილისი. „შევარდენის" სტადიონი. 20 მარტი.**

**„შევარდენი": გვენცაძე, ელიაშვილი, სამხარაძე, ჩადუნელი, მენთეშაშვილი, კოპალეიშვილი, ბაკურაძე, შალამბერიძე, ყიფიანი, ქობელაშვილი, მინაშვილი.**

**„ბათუმი": ბალაძე, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, შეყილაძე, კიკლიაშვილი, შანიძე, მ. მახარაძე, ი. მახარაძე, ნახუაშვილი, ტუღუში, კიურჯიევი.**

**მსაჯები: მ. მირცხულავა, ვ. გვიჩია (ორივე — ლანჩხუთი), ზ. ჯინჭარაძე (ოზურგეთი).**

„შევარდენის" სტადიონი მომზადებული შეხვდა სეზონს — აქ გამართულ პირველ მატჩზე ყველაფერი იყო ისე, როგორც ეროვნულ ჩემპიონატს შეეფერება. ფეხბურთელებსაც თავი არ დაუზოგავთ, მაყურებელი კმაყოფილი რომ დარჩენილიყო მათი თამაშით. გოლები კი, რომლებიც ამ მატჩში გავიდა, დიდხანს ემახსოვრება მაყურებელს.

ბათუმელებმა პირველ მატჩში ხაშურის „ივერიასთან" შინ დიდი ანგარიშით — 3:0 გაიმარჯვეს და, როგორც აღინიშნა, ამ შეხვედრაში მათ ცუდად არ უთამაშიათ. აი, „შევარდენს" კი თავისი გულშემატკივრებისთვის უნდა დაემტკიცებინა, რომ პირველ ტურში ფოთში წაგების მიუხედავად (1:3) შესწევს ძალა, ძლიერ კლუბსაც არ დაუდოს ტოლი. მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ დღეს მათ მართლაც ჩინებულად ითამაშეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს.

შეხვედრის დასაწყისში ორმხრივი იერიშები ვიხილეთ, შემდეგ თამაშმა მოედნის ცენტრში გადაინაცვლა — მეტოქეები ცდილობდნენ ერთურთის რომელიმე რგოლში აღმოეჩინათ „ბზარი". მიმდინარეობდა მატჩის 31-ე წუთი, ბათუმელ მცველთა უხეიროდ გათამაშებული კომბინაცია კარგად ჩაჭრა მინაშვილმა — მან მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა ბურთი და ქობელაშვილმა ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. შეხვედრის პირველი ნახევრის დამთავრებას ორი წუთი აკლდა, როცა კიურჯიევმა ოსტატურად აუარა გვერდი რამდენიმე მცველს და ჩინებული გადაცემით მეკარესთან პირისპირ დატოვა ტუღუში, რომლის დარტყმამ მიზანს მიაღწია — 1:1.

თამაშს ისეთი პირი უჩანდა, რომ მეორე ნახევარი უფრო დაძაბულად წარიმართებოდა. ძნელად რომ ვინმეს ევარაუდა მასპინძლების დიდი ანგარიშით გამარჯვება, რადგან პირველი ტაიმი, ფაქტობრივად, თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ... თბილისელებმა 67-ე წუთზე თერთმეტმეტრიანის დარტყმის უფლება მიიღეს და ჩინებულადაც გამოიყენეს (ქობელაშვილი). 75-ე წუთზე მინაშვილმა თავით გაიტანა ულამაზესი ბურთი — 3:1; მაშინ კი, როცა შეხვედრის დამთავრებას თითქმის აღარაფერი აკლდა, კვლავ ქობელაშვილმა გამოიჩინა თავი — გაიტანა მეოთხე ბურთი და საქართველოს მეორე ეროვნულ ჩემპიონატში პირველმა შეასრულა ჰეთ-თრიკი.

**ზაზა კახაძე**

**„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „გორდა" (რუსთავი) 2:0 (0:0)**

**ჭიათურა. „მაღაროელის" სტადიონი. 20 მარტი.**

**„მარგვეთი": დევაძე (ნიქაბერიძე), ბებიაშვილი, გურიელიძე, ლონდაძე, ლაცაბიძე, გაბრიჭიძე, ინიაშვილი (ფოცხვერაშვილი), ავრამიდისი, ჯუღელი, კიკნაძე, კერძევაძე (წითელაშვილი).**

**„გორდა": ქორიძე, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქასრაშვილი, თორლაშვილი, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე.**

**მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე, ზ. დარჩია (ორივე — თბილისი), ლ. რაზმაძე (გორი).**

**გააფრთხილეს ქასრაშვილი.**

ვინაიდან ზესტაფონის სტადიონი ჯერჯერობით მზად არ არის მატჩების სამასპინძლოდ, ეს შეხვედრა ჭიათურაში გაიმართა.

თამაში ორმხრივი იერიშებით დაიწყო, მაგრამ შემდგომ თანდათანობით გამოიკვეთა ზესტაფონელთა უპირატესობა. ისინი სახიფათოდ უტევდნენ რუსთაველთა კარს. პირველ ნახევარში, მე-16 წუთზე, გოლის გატანის ხელსაყრელი შესაძლებლობა მაინც სტუმრებს მიეცათ — ფირცხალავამ საჯარიმოში ორი მცველი მოატყუა და ცარიელ კარში გაგზავნა ბურთი, რომელიც ძელმა აისხლიტა, განმეორებითი დარტყმა კი მეკარე დევაძემ მოიგერია.

მიმდინარეობდა შეხვედრის 61-ე წუთი, როცა ლაცაბიძემ დაახლოებით 20-22 მეტრი მანძილიდან ძლიერად და ზუსტად დაარტყა — 1:0. ზესტაფონელთა წარმატება განამტკიცა ავრამიდისმა, რომელმაც მატჩის მიწურულს ორამდე გაზარდა ანგარიში.

**დავით ლამბაშიძე,**
**მ. კაკაბაძის სახელობის სტუდიის მსმენელი.**

**„მზიური" (გალი) — „მერცხალი" (ოზურგეთი) 0:0.**

**გალი. ცენტრალური სტადიონი, 20 მარტი.**

**„მზიური": მაკახარაშვილი, კ. კვეკვესკირი, ფარფალია, დ. ლურწკაია, თ. ლურწკაია, კაკუბავა, ჯლარკავა, მორგოშია (მეტრეველი), ჩხეტია, ხარჩილავა, ქანთარია.**

**„მერცხალი": ზოიძე, ტუღუში, მუავანაძე, ხამაშურიძე, კაშია (წივწივაძე), ჩხაიძე, ცერცვაძე, ათუაშვილი, ჩიგოგიძე, მაჭუტაძე, ხალუქვაძე (კალანდაძე).**

**მსაჯები: ტ. ნიშნიანიძე (თბილისი), დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი), მ. ჯულაყიძე (სამტრედია).**

**ამ დღეს** „მზიური" მეორე ეროვნული ჩემპიონატის პირველ მატჩს ატარებდა შინ და ამან, ცხადია, გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია. ფეხბურთელებმაც არ გააწბილეს მათ საქომაგოდ მოსული მაყურებლები და შეხვედრის დასაწყისშივე ტემპიანი თამაში შესთავაზეს მეტოქეს. პირველად იერიშები სწორედ მასპინძლებმა განახორციელეს, მაგრამ მორგოშია, ქანთარია და ჯლარკავა შეტევის ბოლო მომენტში საჭირო სიზუსტეს ვერ იჩენდნენ. სტუმრებმა იერიშებს კონტრშეტევებით უპასუხეს — მეათე წუთზე ჩხაიძეს ჰქონდა გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ ვერ გამოიყენა. პირველი ტაიმის მიწურულს კი მორგოშიას მიერ ძლიერად დარტყმულ ბურთს ადგილზე დახვდა სტუმართა მეკარე ზოიძე.

მეორე ტაიმიც პირველის მსგავსად წარიმართა. ორივე მხარეს შეეძლო გოლის გატანა და, რომ არა მეკარეების და მცველთა ოსტატური თამაში, მატჩი ასე „მშრალად" არ დამთავრდებოდა.

**დაზმირ გელენავა,**
**„ლელოს" კორ.**



თბილისის „შევარდენი-1906"-ისა და ბათუმის „ბათუმის" შეხვედრის მომენტი. გია ახალაძის ფოტო.

# UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

## ნახევარფინალის მონაწილენი გამოვლინდნენ

**20 მარტს** გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების საპასუხო მეოთხედფინალური შეხვედრები, რომელთა შედეგად გამოვლინდნენ ნახევარფინალური მატჩების მონაწილეები.

### ჩემპიონთა თასი

მადრიდის „რეალისა" და მოსკოვის „სპარტაკის" შეხვედრაში სპარტაკელებმა სტუმრად წარმატებით ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. ანგარიში გახსნა მადრიდელმა ბუტრაგენიომ, მაგრამ სტუმრებმა შემდგომში 3 ბურთი გაიტანეს (რადჩენკო — 2, შმაროვი). ამ გუნდების პირველი შეხვედრა მოსკოვში დამთავრდა ფრედ — 0:0.

„დინამო" (დრეზდენი, გერმანია) — „ცრვენა ზვეზდა" (ბელგრადი, იუგოსლავია) 1:2 (პირველი მატჩი მოიგო „ცრვენა ზვეზდამ" — 3:0).

„მარსელი" (საფრანგეთი) — „მილანი" (იტალია) 1:0 (1:1).

„პორტო" (პორტუგალია) — „ბაიერნი" (მიუნხენი) 0:2 (1:1).

**ნახევარფინალში გავიდნენ „სპარტაკი", „ცრვენა ზვეზდა", „მარსელი" და „ბაიერნი".**

### თასების მფლობელთა თასი

„ბარსელონა" (ესპანეთი) — „დინამო" (კიევი) 1:1.

ბურთები გაიტანეს ბარსელონელმა ამორმა და კიეველმა იურანმა (პირველი შეხვედრა კიევში მოიგო „ბარსელონამ" — 3:2).

„იუვენტუსი" (ტურინი, იტალია) — „ლიეჟი" (ბელგია) 3:0 (3:1).

„მონპელიე" (საფრანგეთი) — „მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი) 0:2 (1:1).

„სამპდორია" (გენუა, იტალია) — „ლეგია" (ვარშავა, პოლონეთი) 2:2 (0:1).

**ნახევარფინალში გავიდნენ „ბარსელონა", „იუვენტუსი", „მანჩესტერ იუნაიტედი", „ლეგია".**

### უეფა-ს თასი

„ტორპედო" (მოსკოვი) — „ბრონდბიუ" (კოპენჰაგენი, დანია) 1:0 (ბურთი გაიტანა შირინბეკოვმა). დამატებითი დრო — 0:0, დამატებითი პენალტები 2:4 (პირველი მატჩი — 0:1).

„სპორტინგი" (ლისაბონი, პორტუგალია) — „ბოლონია" (იტალია) 2:0 (1:1).

„ანდერლეხტი" (ბრიუსელი, ბელგია) — „რომა" (რომი, იტალია) 2:3 (0:3).

„ინტერი" (მილანი, იტალია) — „ატალანტა" (ბერგამო, იტალია) 2:0 (0:0).

**ნახევარფინალში გავიდნენ „ბრონდბიუ", „სპორტინგი", „რომა" და „ინტერი".**

ნახევარფინალური წყვილების წილისყრა მოეწყობა დღეს ჟენევაში, ხოლო თვით შეხვედრები გაიმართება 10 და 24 აპრილს.



## ნაკრებს გამოეთხოვა, კლუბში დარჩა

ცნობილმა ირლანდიელმა ოსტატმა ფრენკ სტეპლტონმა (70 მატჩი ნაკრებში) ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ასაკის გამო (34 წლისაა) თავსანებებს ნაკრებში თამაშს, მაგრამ ფეხბურთს არ ეთხოვება. იგი კვლავ განაგრძობს გამოსვლას კლუბ „ბლეკბერნ როვერსში".

## ყველა ფეხბურთელი დააჯარიმეს

თავისებური გადაწყვეტილება მიიღო სტამბოლის ცნობილი კლუბის „ბეშიქთაშის" ხელმძღვანელობამ — გუნდის ყველა წევრი 1850 დოლარით დააჯარიმა. მიზეზი ის გახლავთ, რომ ფეხბურთელები არასაკმარისი გულმოდგინებით თამაშობენ როგორც ეროვნულ ჩემპიონატში, ისე საერთაშორისო შეჯიბრებებში.

## რიდლს კონცილია ეხმარება

ავსტრიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელს ალფრედ რიდლს ახალი თანაშემწე ჰყავს. ეს არის ეროვნული ნაკრების ყოფილი მეკარე, 42 წლის ფრიდლ კონცილია, რომელიც მსოფლიოს 1978 და 1982 წლების ჩემპიონატებში მონაწილეობდა.

## ყველაზე უკეთესი — ვიჩინი?

იტალიურ პრესაში ამას წინათ გამოქვეყნდა საინტერესო სტატისტიკა იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელების ბალანსის შესახებ.

ამ მონაცემებით, მწვრთნელთა შორის ყველაზე უკეთესი შედეგები აქვს ნაკრების ამჟამინდელ ხელმძღვანელს აძელიო ვიჩინის. მას შემდეგ, რაც იგი ნაკრებს ჩაუდგა სათავეში, იტალიელებმა 26 მატჩი მოიგეს, 12 ფრედ დაასრულეს და მხოლოდ 5 წააგეს. ბურთების შეფარდებაა 67:18.

ვიჩინის შემდეგ მომდევნო ადგილებზე არიან ვიტორიო პოცო, ედმონდო ფაბრი, ფერუჩიო ვალკარეჯი, აუგუსტო რანგონე და ენცო ბეარზოტი.

ბეარზოტის ესოდენ დაბალი „კლასიფიკაცია" ძალიან არ მოეწონათ ამ განთქმული მწვრთნელის მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს. ისინი აღნიშნავენ, რომ სწორედ ბეარზოტის ხელმძღვანელობით მოიპოვა მესამედ „სკუადრა აძურამ" (1982 წელს ესპანეთში) მსოფლიო ჩემპიონობა. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ ბეარზოტის „მმართველობის" პერიოდში საერთო სტატისტიკური მონაცემები ვერ იყო მაინცდამაინც ბრწყინვალე. ამ პერიოდში იტალიის ნაკრებმა 88 მატჩი გამართა, აქედან მოიგო 40, ფრედ დაასრულა 26 და 22 წააგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდობა იწყებს და... იმარჯვებს

## მოსწავლეთა VI ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

**ყოველი** წლის მარტის მეორე ნახევარში თბილისის სპორტის სასახლის სარბიელი მოზარდ ძიუდოისტებს ეთმობათ. აქ 1986 წლიდან ტარდება მოსწავლეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ცნობილი ქართველი ძიუდოისტის ანზორ კიკნაძის სახელს ატარებს.

თავდაპირველად, როცა ამ ტურნირს ეყრებოდა საფუძველი, ბოლომდე გარკვეული არც იყო მისი ადგილი და როლი ძიუდოისტთა საერთაშორისო კალენდარში. მაგრამ პირველივე შეჯიბრებამ გაფანტა ეჭვები. თბილისს 1986 წლის „დამფუძნებელ" შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ეწვივნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის გუნდები. ამით მან აღიარებაც ჰპოვა და მტკიცედაც დაიმკვიდრა ადგილი საერთაშორისო ფედერაციის კალენდარში.

თბილისის ტურნირის დიდი მნიშვნელობა და სარგებლობა მრავალი კონკრეტული მაგალითით შეიძლება დამტკიცდეს, მაგრამ მისი მთავარი ღირსება ალბათ ის გახლავთ, რომ ამ შეჯიბრებამ დიდი სპორტისკენ გაუკვალა გზა დღეს უკვე აღიარებულ და დაფასებულ ოსტატებს.

გავიხსენოთ პირველი ტურნირი, პრიზიორთა გვარები და ყველაფერი ცხადზე უცხადესი გახდება. 1986 წლის ასპარეზობის მედალოსანთა შორის იყვნენ: ამირან ტოტიკაშვილი, გერასიმე ხაბულიანი და დავით ხახალეიშვილი (III ადგილები), ზაზა დაბრუნდაშვილი (II ადგილი), ვლადიმერ დგებუაძე, ზურაბ ონიანი, ოლეგ რატიანი და დათო ბაგაური (I ადგილები)... მომდევნო ტურნირებმაც ბევრი, შემდგომში პოპულარული ძიუდოისტი „გამოაჩინა". თუმცა ყოველივე ამის ამოკითხვა უფრო სრულად ქვემოთ მოყვანილი სიიდან შეიძლება. გთავაზობთ თბილისის საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონთა ნუსხას წონითი კატეგორიების მიხედვით:

**49 კგ**

1988. დ. ბოლშაკოვი (სსრკ)
1989. კ. ლუზარაული (საქართველო)
1990. უ. ხულთანოვი (სსრკ)

**53 კგ**

1986. ვ. დრაჩკო (სსრკ)
1987 ნ. ოყოგინი (სსრკ)
1988. გ. ჩერნუხინი (სსრკ)
1989. გ. ვაზაგაშვილი (საქართველო)
1990. ნ. ქოჩიაშვილი (საქართველო)

**57 კგ**

1986. ვ. კახტროვცევი (სსრკ)
1987. გ. ადიბეკოვი (საქართველო)
1988. ა. ჩოხელი (საქართველო)
1989. გ. აბრამიშვილი (საქართველო)
1990 გ. ვაზაგაშვილი (საქართველო)

**62 კგ**

1986. ვ. დგებუაძე (საქართველო)
1987. ტ. მუხტაფინი (სსრკ)
1988. ხ. გორლოვი, (სსრკ)
1989. ბ. ჰუსეინოვი (სსრკ)
1990. რ. მხეიძე (საქართველო)

**68 კგ**

1986. ზ. ონიანი (საქართველო)
1987. ვ. დგებუაძე (საქართველო)
1988. გ. კირაკოზაშვილი (საქართველო)
1989. ა. ლვინიაშვილი (საქართველო)
1990. კ სავუშკინი (სსრკ)

**75 კგ**

1986. ო. რატიანი (საქართველო)
1987. ი. ვანცაევი (სსრკ)
1988. ვ. ომარაშვილი (საქართველო)
1989. ბ. ერაშვილი (საქართველო)
1990. დ. მოროზოვი (სსრკ)

**83 კგ**

1986. დ. ბაგაური (საქართველო)
1987. ვ. ავალიანი (საქართველო)
1988. გ. გაჩეჩილაძე (საქართველო)
1989. გ. გავარდაშვილი (საქართველო)
1990. შ. ბექაური (საქართველო)

**+83 კგ**

1986. მ. შადიევი (სსრკ)
1987. დ. ხახალეიშვილი (საქართველო)

**90 კგ**

1988. გ. უვაროვი (სსრკ)
1989. ვ. ავალიანი (საქართველო)
1990. თ. ცოფურაშვილი (საქართველო)

**+ 90 კგ**

1988. დ. ხახალეიშვილი (საქართველო)
1989. შ. ბექაური (საქართველო)
1990. კ. გუჯეჯიანი (საქართველო)

შეჯიბრებაში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის გუნდებს შორის ადგილები ასეა განაწილებული:

| | I | II | III |
|---|---|---|---|
| საქართველო | 27 | 24 | 44 |
| სსრ კავშირი | 14 | 15 | 23 |
| გფრ | — | 2 | 3 |
| გდრ | — | — | 6 |
| ბულგარეთი | — | — | 2 |
| ჩეხოსლოვაკია | — | — | 1 |
| პოლონეთი | — | — | 1 |

**შენიშვნა:** შარშან ტურნირში პირველად იასპარეზეს გოგოებმაც. მათი მაჩვენებლები ამ ცხრილში არ არის შეტანილი.

დაბოლოს, გავაცნობთ ყველა ჩვენი პრიზიორის გვარს წლების მიხედვით:

**1986 წელი. I ტურნირი. ჩემპიონები** — ვ. დგებუაძე (62 კგ). ზ. ონიანი (68). ო. რატიანი (75), დ. ბაგაური (83). **II ადგილები** — ბ. დარჩიაშვილი (62), გ. ხუციშვილი (68), ა. მირაზაშვილი (83), ზ. დაბრუნდაშვილი (+83). **III ადგილები** — გ. ხაბულიანი (53), ა. ტოტიკაშვილი (57), ხ. ბუძიშვილი (62), კ. თათარიშვილი (75), ა. ძავაშვილი (83), დ. ხახალეიშვილი (+83).

**1987 წელი. II ტურნირი. ჩემპიონები** — გ. ადიბეკოვი (57), ვ. დგებუაძე (68), ვ. ავალიანი (83), დ. ხახალეიშვილი (+83). **II ადგილები** — ზ. სამუკაშვილი (57), გ. ხაბულიანი (62), მ. თვალაძე (68), **III ადგილები** — მ. სარქისაშვილი (53), გ. ბერიძე (62), მ. თურმანიძე (68), ზ. ფოქური (75), გ. გაჩეჩილაძე (83), ო. რატიანი (+83).

**1988 წელი. III ტურნირი. ჩემპიონები** — ა. ჩოხელი (57), გ. კირაკოზაშვილი (68), ვ. ომარაშვილი (75), გ. გაჩეჩილაძე (83), დ. ხახალეიშვილი (+90), **II ადგილები** — გ. მენთეშაშვილი (49), ბ. გეორგაშვილი (62), ა. პროხოქაევი (68). **III ადგილები** — ზ. საღირაშვილი (49), მ. აბრამიშვილი (53), ბ. დილებაშვილი (53), ბ. ბუჩაშვილი (57), ვ. არუთინოვი (62), გ. ბუაძე (83), ვ. ავალიანი (90), შ. ბექაური (+90).

**1989 წელი. IV ტურნირი. ჩემპიონები** — კ. ლუზარაული (49), გ. ვაზაგაშვილი (53), მ. აბრამიშვილი (57), ა. ლვინიაშვილი (68), ბ. ერაშვილი (75), გ. გავარდაშვილი (83), ვ. ავალიანი (90), შ. ბექაური (+90). **II ადგილები** — ზ. დემეტრაშვილი (53), რ. ზედგენიძე (57), ი. უზნაძე (75), ვ. კიბორძალიძე (90), დ. ჰელიძე (+90). **III ადგილები** — შ. დორეული (49), მ. მელაძე (49), თ. როსტიაშვილი (53), ბ. ნარიმანაშვილი (57), ზ. იმერლიშვილი (62), კ. ბერუაშვილი (68), ჯ. გველესიანი (75), ბ. ზაკუტაშვილი (83), კ. გუჯეჯიანი (90), მ. ოდიშელიძე (+90), რ. უძილაური (+90).

**1990 წელი. V ტურნირი. ჩემპიონები** — ნ. ქოჩიაშვილი (53), გ. ვაზაგაშვილი (57), რ. მხეიძე (62), შ. ბექაური (83), თ. ცოფურაშვილი (90), კ. გუჯეჯიანი (+90), **II ადგილები** — ბ. ოდიშვილი (53), გ. იოსელიანი (57), გ. ბაიაძე (62), ზ. ალექსიშვილი (68), თ. ოქროსაშვილი (75), კ. გველესიანი (83), ა. ჯალაბაძე (90), დ. ჰელიძე (+90). **III ადგილები** — მ. ტეტუნაშვილი (49), მ. აბაშიძე (49), გ. კაჟიაშვილი (53), რ. ზედგენიძე (62), ა. ლვინიაშვილი (68), ს. იაშვილი (68), მ. ბოტკოველი (75), გ. შარიაშვილი (75), გ. ოძელაშვილი (83), მ. როსტიაშვილი (83), პ. ჰკუასელი (90), ზ. ტვილდიანი (+90), კ. გამხატაძე (+90).

**1990 წელი. გოგონათა I ტურნირი. ჩემპიონები** — ნ. ჩორგოლაშვილი (54), ნ. მირუაშვილი (61), მ. გობეჯიშვილი (65), ე. სოლოღაშვილი (70), ნ. მარჯანიშვილი (75), ნ. ქუცნიაშვილი (+75), ნ. ქუცნიაშვილი (აბსოლუტური). **II ადგილები.** ი. არშაკუნი (39), ე. არშაკუნი (42), თ. ჩანტლაძე (45), ნ. მარჯანიშვილი (აბსოლუტური). **III ადგილები.** ლ. მარგიშვილი (45), ლ. გრიგოლაშვილი (54), ი. მელიქიშვილი (65), თ. დონღუზაშვილი (+75), ნ. ცისკარიშვილი (+75).

---

# ვაჟა ქაიხოსროშვილი



გარეჯელ ს ჩელოვან ფალავანთა რიგებს უდროოდ გამოაკლდა ჭიდაობის ქართული სკოლის 60-იანი წლების ღირსეული წარმომადგენელი ვაჟა ვახილის ძე ქაიხოსროშვილი.

დაიბადა 1939 წელს, ყმაწვილობიდანვე ეზიარა ქართული ჭიდაობის მადლს. გამოირჩეოდა ათლეტური აღნაგობით, დახვეწილი ტექნიკითა და ლამაზი ილეთებით. ბუთლააანთ ვაჟა, როგორც ხიყვარულით ეძახდნენ, შეუდარებლად ფლობდა ქართული ჭიდაობის შესანიშნავ ილეთს — ბრუნს.

ქაიხოსროშვილი იყო საკავშირო პრიზიორი სამბოში, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ, თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში — ამით მან გააგრძელა ბეჟდაუდებელი ფალავნის არსენ მეკოკიშვილის ფუძეჩაყრილი ტრადიცია.

1968 წელს საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა. 1970-78 წლებში ხელმძღვანელობდა რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს, შემდეგ ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი იყო. კარგად უთავსებდა სპორტსა და ხალხურ თვითშემოქმედებას. რაიონის სიმღერის ანსამბლ „გარეჯის" წევრი არაერთხელ გამხდარა საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატი.

ვ. ქაიხოსროშვილის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ახლობლების, მეგობრების, აღზრდილებისა და ქომაგების გულებში.

**ფიზკულტურისა და სპორტის საგარეჯოს რაიონული კომიტეტი,**

**საგარეჯოს პრეფექტურის კულტურის რაიგანყოფილება**

---

# გიორგი ღლონტი



კიდევ ერთი ღირსეული წევრი გამოაკლდა ქართველ პედაგოგთა სახელოვან ოჯახს. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისის გრიგოლ კობახიძის სახელობის გიმნაზიის ფიზკულტურის უფროსი მასწავლებელი გიორგი ანტონის ძე ღლონტი.

ბატონი გიორგი 55 წლიწადი ერთგულად და უშურველად ემსახურა მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. იგი მხოლოდ სამაგალითო მასწავლებელი როდი იყო, აქტიურად მონაწილეობდა რაიონის საგნობრივი კომისიის მუშაობაში, პრესაში განაზოგადებდა მოწინავე გამოცდილებას.

გ. ღლონტს მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. ომგამოვლილი მებრძოლი დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით, უამრავი დიპლომით და სიგელით.

ყველაზე დიდი ჯილდო კი იყო ის საყოველთაო სიყვარული, რომელიც მან დაიმსახურა კოლეგებსა და მრავალრიცხოვან აღზრდილთა შორის. იყო სამაგალითო და უკეთილშობილესი პიროვნება. გულისტკივილით, მოკრძალებით ვეთხოვებით ჩვენს ძვირფას ადამიანს, რომლის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულებში.

**თბილისის ისნის რაიონის განათლების განყოფილება,**

**გრიგოლ კობახიძის სახელობის ქართული გიმნაზია.**

---

**რედაქტორი**

**თენგიზ ზაჩეჩილაძე**

---

## უ-შუ ინსტრუქტორთა საყურადღებოდ!

1991 წ. 30 მარტიდან 2 აპრილის ჩათვლით, თბილისში, პროფკავშირების კულტურის სასახლის სპორტდარბაზში, საქართველოს უ-შუს ეროვნული ფედერაცია აწყობს უ-შუს ინსტრუქტორთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარს (მეორე ეტაპი). ნებადართულია იმ პირთა დასწრება, რომლებსაც არ გაუვლიათ პირველი ეტაპი.

სემინარის დამთავრებისას 2-3 აპრილს ჩატარდება საკვალიფიკაციო გამოცდები შესწავლილ კომპლექსებში და გაიცემა შესაბამისი დიპლომები.

იმ პირთა მიმართ, რომლებიც საქართველოს უ-შუს ეროვნული ფედერაციის თანხმობის გარეშე ავარჯიშებენ უ-შუს ჯგუფებს, საქართველოს უ-შუს ფედერაცია სპორტის დეპარტამენტთან და ხელისუფლების ორგანოებთან ერთად მიმართავს მკაცრ ზომებს, ასეთი არალეგალური ჯგუფები დაიხურება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

ფედერაციის წევრებისათვის სემინარზე დასწრება უფასოა. მსურველებს შეუძლიათ მობრძანდნენ 30 მარტს დილის 10 საათზე პროფკავშირების სასახლის სპორტდარბაზთან (მეტრო „დელისის" უკან).

სემინარის სპონსორია კოოპერატივი „ოდა".

**ფედერაციის პრეზიდიუმი.**

---

### „სპორტპროგნოზი", მე-13 ტირაჟის პროგრამა (30-31 მარტი)

| სსრკ ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა) | | პროგნოზი | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. „შახტიორი" (დონეცკი) — „პამირი" (დუშანბე) | 30.III | 70 | 20 | 10 | X |
| 2. „ტორპედო" (მოსკოვი) — „არარატი" (ერევანი) | 30.III | 60 | 30 | 10 | 2 |
| 3. „მეტალისტი" (ხარკოვი) — „სპარტაკი" (ვლადიკავკაზი) | 30.III | 20 | 40 | 40 | 1 |
| 4. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 31.III | 80 | 10 | 10 | X |
| 5. „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დინამო" (კიევი) | 31.III | 30 | 60 | 10 | 1 |
| 6. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო" (მოსკოვი) | 31.III | 30 | 60 | 10 | 2 |
| 7. „დინამო" (მინსკი) — ცსკა | 31.III | 10 | 70 | 20 | 1 |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | | |
| 8. „ლეჩე" (ლეჩე) — „ფიორენტინა" (ფლორენცია) | 30.III | 50 | 20 | 30 | X |
| 9. „ნაპოლი" (ნეაპოლი) — „ინტერი" (მილანი) | 30.III | 40 | 30 | 30 | X |
| 10. „ჯენოვა" (გენუა) — „სამპდორია" (გენუა) | 30.III | 20 | 70 | 10 | 1 |
| 11. „მილანი" (მილანი) — „ტორინო" (ტურინი) | 30.III | 80 | 10 | 10 | 1 |
| **ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | | |
| 12. „ბარსელონა" (ბარსელონა) — „ატლეტიკო" (მადრიდი) | 31.III | 80 | 10 | 10 | X |
| 13. „კადისი" (კადისი) — „ვალიადოლიდი" (ვალიადოლიდი) | 31.III | 20 | 40 | 40 | 2 |

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე, კორექტორები: მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 96-97-55
სამდივნო — 96-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 96-97-54.
„ზურანი" — 96-97-23, „მორიგე" — 99-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, ხაგაზეთ კორპუსზე, ხაზოხოულობ, 20.

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გვაქვს, შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20